შიდა პოლიტიკა

1. კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა: *როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო მოწყობის მიმართ? აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას?*

- გავაძლიერებთ არსებულ საპრეზიდენტო ინსტიტუტს.
- გაუქმდება ის ანტიეროვნული კანონმდებლობა, რომელიც დღეს მოქმედებაშია.
- საკონსტიტუციო რეფორმები და ძირითადი კანონმდებლობა მიიღება უშუალოდ ხალხის მიერ პლებისციტი - რეფერენდუმის გზით.
- გამგებლები, მერები, მოსამართლეები, პოლიციის უფროსები აირჩევიან ხალხის მიერ პირდაპირი კენჭისყრით და იქნებიან მხოლოდ ხალხისა და კანონის მსახურნი.
- საქართველოს ექნება სამართლიანი სასამართლო.
- უფასო განათლება და ჯანდაცვა დაცული იქნება კონსტიტუციური დებულებებით.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

- ადამიანი ჩასახვიდან და დაბადებიდან იქნება სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის ობიექტი; მშობიარობა, საბავშვო ბაგა-ბაღი, საშუალო, უმაღლესი, სამეცნიერო განათლება დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- მასწავლებლის ხელფასი გაუტოლდება მოსამართლის ანაზღაურებას.
- თავის ავტონომიურ უფლებებში სრულად აღდგება უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, მეცნიერებათა აკადემია, მისი სამეცნიერო-კვლევითი უწყებები.
- სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკა დაეფუძნება ეროვნული მეცნიერების, კულტურის, სპორტის განვითარებას და არა ჩვენი ხალხის, ახალგაზრდობის გადაქცევას მოსამსახურე და მოჯამაგირე პერსონალად.

3. დასაქმება: *რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?*

- ჩვენი მთავარი ვალდებულებაა უმუშევრობის მოსპობა და ხალხის დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა, საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარება, ქარხნების, ფაბრიკების, გადამამუშავებელი მრეწველობის ამუშავება.
- დაუყოვნებლივ აღდგება დეკრეტების, შვებულებებისა და ბიულეტენების ტრადიციული ინსტიტუტი ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისთვის.
- დროებით უმუშევრებისთვის გაიცემა ღირსეული კომპენსაცია.
- შეწყდება უცხოელ მუშა-მიგრანტთა უკანონო შემოყვანა ქვეყანაში.
- მინიმალური ხელფასი და პენსია იქნება საარსებო მინიმუმს ზევით. პენსია გაიცემა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.
- დაუყოვნებლივ აღდგება სამსახურში ასი ათასობით სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილი მოქალაქე და აუნაზღაურდება განაცდური.

- სახელმწიფო აპარატში მომუშავე ყველა მუშაკს შეუნარჩუნდება სამუშაო ადგილი, ხელისუფლების ცვლის მიუხედავად.

4. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?*

გადაუდებელი ოპერაციები, რეანიმაცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარება დაფინანსდება მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან; სამედიცინო პერსონალი აღჭურვილი იქნება პრივილეგიებითა და სოციალური გარანტიებით; ყველა რეგიონში გაიხსნება უფასო მუნიციპალური საავადმყოფო.

5. სოციალური უსაფრთხოება: *რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?*

- ოჯახი, როგორც სახელმწიფოს საფუძველი, აღიარებული იქნება იურიდიულ პირად და გაეხსნება საბანკო ანგარიში. ახალდაქორწინებულებისთვის ბიუჯეტიდან გადაირიცხება 3000 ლარი. თითოეული ბავშვის დაბადებისთანავე ოჯახს გადაერიცხება 1500 ლარი.
- სასწრაფოდ განახევრდება ტარიფები ელექტროენერგიაზე, გაზზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო კავშირებზე და სხვა კომუნალურ გადასახადებზე.
- დაუყოვნებლივ გაუქმდება ყოველგვარი კოლექტიური მრიცხველი.
- ვიღებთ ვალდებულებას ჩვენი სახელოვანი ვეტერანების წინაშე და მათ მიმართ დაუყოვნებლივ განვახორციელებთ ყველა ტიპის სოციალურ დახმარებასა და შეღავათებს.
- გადაუდებლად აღვუდგენთ სოციალურ დახმარებასა და შეღავათებს რეპრესირებულთა ოჯახებს.
- გადაუდებლად დაიწყება ანაბრების გაცემა ეტაპობრივად, პრინციპით - უფროსი ასაკიდან ქვემოთ სამართლიანი კურსით (ბანკში ანაბრის შეტანის მომენტისთვის დაფიქსირებული აშშ დოლარის კურსის შესაბამისად).
- უცხოეთში წასული თითოეული ქართველი და, ასევე, აქ დარჩენილი მისი ოჯახი და საკუთრება იქნება სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი.

6. ეკონომიკა: *როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?*

- დაუყოვნებლივ დაიწყება გაჩანაგებული სოფლის აღორძინება.
- ყველგან გაიხსნება სტრატეგიული პროდუქციის - ყურძნის, ხილის, ციტრუსის, ჩაის, ხორცპროდუქტების დამამზადებელი პუნქტები სახელმწიფო დაფინანსებით და გარანტიებით; ყველა რაიონი დაკომპლექტდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებით, რომლებიც უფასოდ მოემსახურებიან გაჭირვებულ გლეხობას.
- ფერმერებს მიეცემათ უპროცენტო გრძელვადიანი კრედიტი.
- დაწესდება ზღვრული ფასები პირველადი მოთხოვნილების საქონელზე - ფქვილზე, პურზე, შაქარზე, მარილზე, ზეთსა და სხვა პროდუქტებზე.

7. ეკონომიკა: *როგორ აპირებთ ინფლაციის კონტროლს? რა მიდგომებს გამოიყენებთ ამისათვის?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

8. გადასახადები და ფისკალური პოლიტიკა: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.*

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დაწესდება 75%-იანი მდიდართა გადასახადი.
- ხალხს გამგებლობაში დაუბრუნდება ყველა გაყიდული სტრატეგიული სიმდიდრე -წყალი, ტყე, ჭალა, წიაღისეული, ძირითადი ენერგეტიკული ობიექტები, სკოლები და ბაღები, საავადმყოფოები, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ობიექტები - საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.
- კერძო საკუთრება იქნება ხელშეუხებელი.
- საერთოდ გაუქმდება კაბალური გადასახადი წყალზე, სარწყავზე, ხეხილზე, პირუტყვზე, ტყით სარგებლობაზე, საცხოვრებელ ფართსა და მიწათსარგებლობაზე, ასევე, წვრილი ბიზნესის სფეროში.
- შეიქმნება მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემო ინვესტიციებისთვის
- გაუქმდება სალარო საკონტროლო აპარატები ბაზრობებზე, წვრილი ბიზნესის სფეროში შემოღებული იქნება ფიქსირებული გადასახადი.

9. სახელმწიფო ხარჯები: *დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი გაქვთ გამოკვეთილი ასეთი პოზიცია*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

10. სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი: *როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართებით?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

11. ეკონომიკა: *გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2016 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

12. თავდაცვის პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

13. იძულებით გადაადგილებული პირები: *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

14. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?*

- დაუყოვნებლივ შეჩერდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საბოლოო დაკარგვის საფრთხე.
- ჩვენი ისტორიული ვალდებულებაა აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ყველა დევნილი, იძულებით გადაადგილებული პირი დავაბრუნოთ საკუთარ კერაზე; ყველა პირობა შევქმნათ აფხაზ და ოს ხალხთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანაცხოვრებისთვის.

15. უმცირესობათა უფლებები: *რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?*

სახელმწიფო იქნება ტრადიციული რელიგიებისა და სხვა კონფესიების მიმართ ტოლერანტობის მუდმივი გარანტი.

16. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველო ბოლო ადგილზეა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად.*

- სახელისუფლებო სტრუქტურებში გაიზრდება ქალთა პროპორციული წარმომადგენლობა.
- პრინციპული და შეუქცევადი პოლიტიკა გატარდება ოჯახური ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

17. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

<u>საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები</u>

18. საგარეო პოლიტიკა: *გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისთვის.*

- საქართველო ინტენსიურად გააგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს. იმავდროულად, დაუყოვნებლივ გაუმჯობესდება ურთიერთობა რუსეთთან, აღდგება ეკონომიკური, სატრანსპორტო და სხვა კავშირები. გამარტივდება სავიზო რეჟიმი.
- ჩვენ უარს ვაცხადებთ სამხედრო ბლოკებში საქართველოს მონაწილეობაზე.

19. სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან /ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

20. რეგიონული თანამშრომლობა: *რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

21. უსაფრთხოების პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?*

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.